განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
## შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი
3 ოქტომბერი, 03.10.2019

დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი
8 ნოემბერი, 08.11.2019

თბილისი
2019

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 229275405 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ფინანსები |
| განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში ( Bachelor of Business Administration in Finances) |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებული, 01.08.2018 |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | გიორგი ღაღანიძე, თსუ, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ეკა გეგეშიძე, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | დავით ქარცივაძე, თსუ, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ანა გვრიტიშვილი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ფინანსების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს N91 გადაწყვეტილებით, 01.08.2018. პროგრამა ფუნქციონირებდა 2012 წლიდან. პროგრამის მიზანი იყო შეეთავაზებინათ საბაკალვრო საფეხურის სტუდენტებისათვის ქართულეოვანი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა უახლეს ტენდენციებს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში. პროგრამის აღნაგობა სტანდარტულია და ითვალისწინებს 170 კრედიტის სავალდებულო კომპონენტს ( საუნივერსიტეტო სავალდებულო - 10 კრედიტი, უცხო ენა -15 კრედიტი, ბიზნესის ადმინისტრირების სავალდებულო 145 კრედიტი); არჩევით კომპონენტს - 70 კრედიტი ( სპეციალობის არჩევითი - 10 კრედიტი, თავისუფალი სასწავლო კურსები -60 კრედიტი). სასწავლო კურსების შინაარსი, წინაპირობები და აღნაგობა ტრადიციულია საქართველოში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის ბიზნესის ადმინისტრირების - ფინანსების სპეციალობაში. საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავდა დამსაქმებელთა მოთხოვნების მაქსიმალურ გათვალისწინებას. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საგანმანათლებლო პროგრამის შექმნისას გათვალისწინებული იქნა შრომის ბაზარზე მარალი მოთხოვნა სწორედ ფინანსების სპეციალობაზე და ამდენად მისანიჭებელი კვლაფიკაციაა ბიზნსესი ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში.
პროგრამა სარგებლობს საკმაოდ მარალი მოთხოვნით, კურსდამთავრებულებები აღნიშნავენ მაღალ კმაყოფილებას და ლოიალურები არიან უსდ-ს მიმართ.
საგანმანათლებლო პროგრამა საერთო ჯამში სიცოცხლისუნარიანია და აქვს განვითარების პერსპექტივა.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

საგანმანათლებლო პროგრამიის სააკრედიტაციო ვიზიტი განხორციელდა 3 ოქტომბერს. ვიზიტამდე ყველა მასალები დროულად იქნა დაგზავნილი სააკრედიტაციო ჯგუფის წევრებთან. 2 ოქტომბერს, 15.00. საათზე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ჩატარდა სააკრედიტაციო ჯგუფის წევრთა შეხვედრა. შეხვედრას ესქრებოდა ყველა წევრი. სააკრედიტაციო ჯგუფმა ერთმანეთს გაუზიარა მოსაზრებები სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი მასალების შესახებ. გამოიკვეთა საკითხთა ის წრე, რომელზეც ჯგუფს ქონდა განსაკუთრებული მოსაზრებები. დაიგეგმა სააკრედიტაციო ვიზიტის დროს განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი საკითხების წამოწევა. კერძოდ, სააკრედიტაციო ჯგუფის წევრებმა ყურადღება გაამახვილეს იმ აფქტზე, რომ რამოდენიმე სასწავლო დისციპლინის სილაბუსებში ფიგურირებდა ერთი და იგივე (ძალიან ცნობილი და ქრესტომატიულად აღიარებული სახელმძღვანელო - ვან ჰორნი, ჯეიმს ვაჰოვიჩი ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები, 2010; ასევე მეორდებოდა სახელმძღვანელო - ბახტაძე ლელა, ბარბაქაძე ხათუნა, თემურ ყანდაშვილი, „ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები" (ლექციების კურსი). თსუ, 2012). აკადემიურ პერსონალთან აღნიშნულ საკითხზე საუბრები წარიმართა ძალიან კონსტრუქციულ გარემოში და მიღწეული იქნა სრული ურთიერთგაგება. კერძოდ ყველა სილაბუსებში დაზუსტდა კონკრეტული სახელმძღვანელოების გვერდები, რითაც აღმოიფხვრა დუბლირების პოტენციური საფრთხე. აღნიშნული დაზუსტება სილაბუსებში არ ცვლის სწავლის შედეგებს ან არ ართულებს მათ მიღწევას. სილაბუსებში დაზუსტება განხორციელდა ვიზიტის მსვლელობისას.
სააკრედიტაციო ჯგუფი გაეცნო მატერიალურ ბაზას, ბიბლიოთეკას, გადაამოწმა სილაბუსებში მითითებული სასწავლო და დამხმარე ლიტერატურა. წინასწარ შედგენილი განრიგის მიხედვით ჩატარდა ყველა შეხვედრა. განსაკუთრებით საინტერესო იყო შეხვედრები კურსდამთავრებულებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან.
საერთო ჯამში ვიზიტმა ჩაიარა კონსტრუქციულ, სამუშაო გარემოში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საგანმანათლებლო პროგრამის 2.3. კომპონენტი მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს, დანარჩენი კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

გამოთქმულია შემდეგი რეკომენდაცია 2.3. კომპონენტის განხილვისას:"სილაბუსებში მკაფიოდ გაიმიჯნოს სავალდებულო ლიტერატურა."

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

პროგრამის განვითარებისათვის გამოთქმულია შემდეგი რჩევები: **პროგრამის შემდგომი განვითრებისთვის გარგი იქნება სავალდებულო საგნებში დამატებული იქნას 1. მმართველობითი აღრიცხვა;2. სტრატეგიული მენეჯმენტის, ორგანიზაციული ქცევის ან რომელიმე მსგავსი დისციპლინის საგანიკომპონენტი.** კომპონენტი 2.3.

სასურველია, ფაკულტეტების მიხედვითაც არსებობდნენ ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლები, რომლებიც იქნებიან კონკრეტული დარგის სპეციალისტები. კომპპონენტი 5.3.

**საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

კომპონენტი 2.4. უნივერსიტეტის ძლიერ მხარეს წარმოადგენს სტუდენტებისთვის კარგად ორგანიზებული აქტიური სოციალური ცხოვრება. უნივერსიტეტში ფუნქციონიერბს კლუბებისა და საზოგადოებების ოფისი. ის კარიერის დაგეგმვის სამსახურთან მუშაობს ყველა სტუდენტის ჩართულობაზე კლუბებში, საზოგადეობებსა და ტრენინგებში, ახდენს მათ მუდმივ განვითარებაზე ზრუნვას და მათ მოტივრებას, რის საფძველზეც სტუდენტს უყალიბებს ტრანსფერულ უნარებს და უნვერსიტეტის ბრენდის მიმართ ლოიალურ დამოკიდებულებას.

კომპონენტი 3.1. კურსდამთავრებულებთან მჭიდრო ურთიერთობა და მათი აქტიურად ჩართვა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პირობითი აკრედიტაციის შემდგომ პერიოდში უსდ-მ გაითვალისწინა ყველა გამოთქმული რეკომენდაცია და ისინი ასახა საგანმანათლებლო პროგრამაში. ამდენად საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა რეალისტური გახდა.

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროგრამის ფინანსებში მიზნებია (1) სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებით კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ბიზნესის სხვადასხვა სექტორის საქმიანობის განხორციელებაში მონაწილეობას, რაც უზრუნველყოფს დასაქმების შესაძლებლობას სახელმწიფო, კერძო, და არასამთავრობო სექტორებში; (2) პროგრამის მიზანია აგრეთვე სტუდენტებისათვის ბიზნესის და ფინანსების თეორიული და პრაქტიკული ფუნდამენტური საკითხების საფუძვლიანი ცოდნის, და პრაქტიკული უნარების უზრუნველყოფა; **(3)** პროგრამა საშუალებას აძლევს სტუდენტებს უპასუხონ თანამედროვე ბიზნეს გარემოს გამოწვევებს და ხელს უწყობს მათ საკუთარი კარიერის დაგეგმვასა და განვითარებაში.<br><br>პროგრამის მიზნის ჩამოყალიბების პროცესში ჩართულები იყვნენ შზსუ-ს აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები.<br><br>პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია უნივერისტეტის მისიასთან, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: „უზრუნველყოს პროფესიონალიზმზე ორიენტირებული ხარისხიანი განათლება, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს რა გამოყენებით კვლევებს, ინოვაციებს, ინტერნაციონალიზაციასა და უწყვეტ განათლებას. შზსუ ისწრაფვის ხელი შეუწყოს კულტურათაშორის დიალოგს, შეინარჩუნოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი და წვლილი შეიტანოს სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიის განვითარებაში.“<br><br>პროგრამის მიზანი ეყრდნობა შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ხოლო დასაქმების მაღალი მაჩვენებელი ადასტურებს იმ ფაქტს, რომ პროგრამა უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას და შესაბამისად წვლილი შეაქვს დარგის, ბიზნესის და ზოგადად ქვეყნის განვითარებაში. პროგრამის შედგენაში გათვალსიწინებულია საერთაშორისო პრაქტიკა, მსგავსი საერთაშორისო პროგრამების ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ შეთავაზებული საგნები და სწავლების მეთოდები გამოყენებულია |

| |
|---|
| მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების მიერ.<br><br>პროგრამის გადამუშავების პროცესში მოხდა წინა აკრედიტაციის კომისიის რეკომენდაციების სრულად გათვალისწინება.<br><br>ფინანსების პროგრამის კურსდამთავრებულების უმეტესობა კერძოდ 93% დასაქმებულია, მათგან 74% პროფესიის შესაბამისად.<br><br>დამსაქმებლებთან ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა, რომ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერისტეტის ფინანსების სპეციალობის სტუდენტები და კურსდამთავრებულები გამოირჩევიან თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით.<br><br>წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მტკიცებულებებისა და ადგილზე ვიზიტის საფუძველზე დადასტურდა, რომ შზსუ-ს ფინანსების საბაკალავრო პროგრამის მიზნები მიმართულია ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>o ფინანსების საბაკალავრო პროგრამა;<br>o თვითშეფასების ანგარიში;<br>o ბაზრის კვლევა;<br>o დაინტერსებული პირთა გამოკითხვის შედეგები (პროგრამის განვითარების ანგარიში);<br>o შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;<br>o შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამების სხვადასხვა ქვეყნების წამყვანი უნივერსიტეტების საგანმანათლებლო პროგრამებთან შედარების ანალიზი;<br>o პროგრამის ხელმღვანელის ანგარიში აკრედიტაციის კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ;<br>o ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>o წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |

- o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

შზსუ-ს ფინანსების პროგრამის შედეგები დაყოფილია სამი მიმართულებით, ცოდნა და გაცნობიერება, უნარი და პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. წარმოდგენილი შედეგები თანმიმდევრულია და რელევანტური. შეესაბამება ბაკალავრის ხარისხს ფინანსების სპეციალობის სწავლის შედეგებს.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის შედეგად კურსდამთავრებულს შეუძლია ბიზნესისა და ფინანსების სფეროში საკუთარი ცოდნის თანმიმდევრულად და სხვადასხვა კუთხით შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით განხორციელება; კომპლექსურ, არაპროგნოზირებად სასწავლო ან/და სამუშაო გარემოში განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის ეთიკის პრინციპების/აკადემიური პატიოსნების დაცვით წარმართვა და განხორციელება.

პროგრამის სწავლის შედეგებში გასათვალისწინებელია დასაქმების ბაზრის მოთხოვნები. თვითშეფასების ანგარიშის საფუძველზე ირკვევა, რომ პროგრამის შედეგების გაუმჯობესება მოხდა დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა, აკადემიური პერსონალის და სტუდენტების კვლევისა და მათ მიერ გაკეთებული შეფასების საფუძველზე.

ფინანსების საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნა და უნარები შესაბამისობაში დარგის მოთხოვნებთან. ფინანსების საგანმანთლებლო პროგრამის შედეგების მიღწევის შეფასება ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისა პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ, წინასწარ დადგენილი ინსტრუქციის შესაბამისად დადგენილი მეთოდოლოგიით, რომელიც მოიცავს შეფასების პირდაპირ და არაპირდაპირ მეთოდებს, რომლის საფუძველზეც ხორციელდება ფინანსების საბაკალავრო პროგრამის შედეგების მიღწევადობა და გაზომვადობა.

შეფასების პირდაპირი მეთოდით ხდება სასწავლო კურსზე სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასება და ანალიზი, რომელიც ეყრდნობა სტუდენტის მიღწევების შეფასებას სხვადასხვა ფორმებით, რომელიც განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შეფასების ფორმებში, მათ შორისაა: ტესტი, ამოცანის ამოხსნა, ტესტი, პრაქტიკის ანგარიში და სხვ.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორების მეშვეობით. შემუშავებულია შეფასების სამი დონე: ვერ აკმაყოფილებს (0-50 ქულა), მეტწილად აკმაყოფილებს (51-80 ქულა), აკმაყოფილებს (81-100 ქულა).

ფინანსების საბაკალავრო პროგრამაში წარმოდგენილია პროგრამის სწავლის შედეგებზე გასვლის აღწერა, მასში წარმოდგენილია ინფორმაცია იმის შესახებ თუ, შეფასების რომელი ფორმა უზრუნველყოფს კონკრეტული შედეგის მიღწევას, შეფასებას და გაზომვას.

პროგრამის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდი გამოიყენება დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და პერსონალი) გამოკითხვა და გამოკითხვის შედეგების ანალიზი. ისინი აფასებენ კურსდამთავრებულების და სტუდენტების ცოდნასა და უნარებს, სტუდენტები და კურსდამთავრებულები ახდენენ თვითშეფასებას, რაც არაპირდაპირი გზით ახდენს პროგრამის შეფასებას.

განხორცილებული ვიზიტის პერიოდში კურსდამთავრებულებმა და სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ელ-მართვის სისტემაში შესვლის დროს პროგრამულად ხდება სხვადასხვა გამოკითხვის ჩატარება და ხშირად სანამ არ შეავსებენ გამოკითხვის კითხვარს, სისტემა არ აძლევს სხვა ფუნქციის გამოყენების უფლებას.

არაპირდაპირი და პირდაპირი შეფასების პროცესს ახორციელებს უნივერისტეტის ხარისხის სამსახური, ფაკულტეტის ადმინისტრაციის, პროგრამის ხელმძღვანელების და პროგრამაში ჩართული შესაბამისი პერსონალის თანამონაწილეობით. შედეგების გაანალიზების შემდეგ მიიღება გადაწყვეტილება რეაგირების საჭიროებისა და გზების შესახებ.

შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელიც ასახავს

| |
|---|
| ჩასატარებელი კვლევების პერიოდულობას.<br><br>წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ადგილზე ვიზიტით დადასტურდა, რომ:<br>• უნივერსიტეტში მუდმივად ხდება პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვა, რომელიც ხდება პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების შედეგების საფუძველზე.;<br>• წარმოდგენილი ფინანსების საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;<br>• პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;<br>• პროგრამის შედეგები გაზომვადია;<br>• სწავლების შედეგები შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს;<br>• სწავლების შედეგების გაუმჯობესებასა და დახვეწაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე;<br>• შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>o ფინანსების საბაკალავრო პროგრამა;<br>o თვითშეფასების ანგარიში;<br>o ბაზრის კვლევა;<br>o დაინტერსებული პირთა გამოკითხვის შედეგები (პროგრამის განვითარების ანგარიში);<br>o შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;<br>o საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუქცია და მეთოდოლოგია;<br>o ანგარიში პროგრამაში განხორციელებული ცვლილებებისა და აკრედიტაციის საბჭოს და ექპერტების რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ;<br><br>o ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |

| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) |
|---|
| o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>o |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✓ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓ | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

შზსუ-ს ფინანსების პროგრამაზე დაშვების წინაპირობა შემდეგნაირია:

საბაკალავრო საგანმანათლებო პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით - ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. ერთ-ერთი ჩასაბარებელი სავალდებულო საგანია: მათემატიკა.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს.

კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ჩარიცხვა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე.

რადგან სწავლების შედეგების მიღწევისთვის მნიშვნელოვანია რაოდენობრივი ცოდნა ერთ-ერთი ჩასაბარებელი სავალდებულო საგანია: მათემატიკა.

რაოდენობრივი ცოდნის აუცილებლობა დასტურდება წარმოდგენელი პროგრამით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ფინანსების საბაკალავრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ბაზრის კვლევა;
- დაინტერესებულ პირთა გამოკითხვის შედეგები (პროგრამის განვითარების ანგარიში);
- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ფინანსების საბაკალავრო პროგრამა შემუშავებულია შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების ინსტრუქციის შესაბამისად, დოკუმენტის No: IBSU.R36.I2G.

საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი კომპონენტების - სასწავლო და კვლევითი კომპონენტის ასათვისებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის გამოსახატად გამოიყენება ECT საკრედიტო სისტემა. კრედიტი ასახავს სამუშაოს იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ კომპონენტის დასასრულებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად. ერთი კრედიტი მოიცავს სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვას) 25 ასტრონომიული საათის განმავლობაში.

საგანმანათლებლო პროცესი საბაკალავრო საფეხურზე, ჩვეულებრივ, მოიცავს 8 სემესტრს, ანუ 4 აკადემიურ წელს, თითოეული წელს სტუდენტმა უნდა დაძლიოს 60 კრედიტი, თუმცა პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე მას შეუძლია აიღოს მეტი ან ნაკლები კრედიტები, თუმცა არაუმეტეს 75 კრედიტისა წელიწადში.

პროგრამის სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სავალდებულო და არჩევით კომპონენტებს (სასწავლო კომპონენტი, კვლევითი კომპონენტი).

პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების მოცულობაა 240 კრედიტი, მათ შორისაა:

- აკადემიური წერა - 5 კრედიტი
- ინფორმაციული ტექნოლოგიები - 5 კრედიტი
- უცხო ენა - 15 კრედიტი
- ბიზნესის ადმინისტრირების და ფინანსების სავალდებულო საგნები – 145

| |
|---|
| კრედიტი<br>• ბიზნესის და ფინანსების არჩევითი საგნები - არანაკლებ 10 კრედიტი<br>• თავისუფალი (მათ შორის დამატებითი სპეციალობის) საგნები - 60 კრედიტი<br><br>პროგრამაში უცხო ენებისთვის განკუთვნილია 15 კრედიტი. ინგლისური ენის არჩევა სავალდებულოა იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ტესტირების შედეგად ვერ ადასტურებს ინგლისური ენის ცოდნის B2 დონეს. სტუდენტი თავისუფლდება ინგლისური ენის არჩევისგან იმ შემთხვევაშიც, თუ წარმოადგენს B2 დონის დამადასტურებელ საერთაშორისო სერთიფიკატს. თუ სტუდენტი ინგლისური ენის შესწავლას იწყებს A1 დონიდან, თავისუფალი კრედიტების ფარგლებში სავალდებულოდ უნდა აირჩიოს ინგლისური ენის სასწავლო კურსი.<br><br>უცხო ენის ოთხი დონე განსაზღვრულია შემდეგნაირად: A1, A2, B1 და B2. უცხო ენის არჩევის შემთხვევაში განისაზღვრება სტუდენტის ენის ცოდნის დონე (ტესტირების ან სერთიფიკატის წარმოდგენის შედეგად) რის შემდეგაც მას უფლება აქვს არჩეული უცხო ენა დაიწყოს შესაბამისი დონიდან.<br><br>ფინანსების საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სასწავლო გეგმით განსაზღვრულია პროგრამის სასწავლო კომპონენტებზე (სასწავლო კურსები, საბაკალავრო ნაშრომი, პრაქტიკა) დაშვების წინაპირობები. სასწავლო კომპონენტების თანმიმდევრობა, სასწავლო კურსების, თავისუფალი კრედიტების სემესტრული განაწილება, სტუდენტების დატვირთვა შესაბამება ფინანსების საბაკალავრო პროგრამის მოთხოვნებს. პროგრამაში შემავალი კომპონენტები თანმიმდევრულად და ლოგიკურადაა დალაგებული. სასწავლო კურსებსა და კომპონენტებზე დაშვების წინაპირობა არის ადეკვატური.<br><br>პროგრამის მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. მისი შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და უზრუნველყოფს პროგრამის შედეგების მიღწევას. პროგრამა შეესაბამება დარგის თანამდეროვე ხედვას.<br><br>შზსუ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>o ფინანსების საბაკალავრო პროგრამა;<br>o შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების ინსტრუქციის შესაბამისად, დოკუმენტის No: IBSU.R36.I2G.<br>o თვითშეფასების ანგარიში;<br>o ბაზრის კვლევა;<br>o დაინტერესებული პირთა გამოკითხვის შედეგები (პროგრამის განვითარების ანგარიში);<br>o შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;<br>o ანგარიში პროგრამაში განხორციელებული ცვლილებებისა და აკრედიტაციის საბჭოს და ექპერტების რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ;<br>o ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, დამსაქმებლებთან, |

| |
|---|
| კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>o |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✓ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.3. სასწავლო კურსი |
|---|
| ➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;<br>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების მოცულობაა 240 კრედიტი, მათ შორისაა:<br><br>• აკადემიური წერა - 5 კრედიტი<br>• ინფორმაციული ტექნოლოგიები - 5 კრედიტი<br>• უცხო ენა - 15 კრედიტი<br>• ბიზნესის ადმინისტრირების და ფინანსების სავალდებულო საგნები – 145 |

კრედიტი

- ბიზნესის და ფინანსების არჩევითი საგნები - არანაკლებ 10 კრედიტი
- თავისუფალი (მათ შორის დამატებითი სპეციალობის) საგნები - 60 კრედიტი

ფინანსების საბაკალავრო პროგრამის სპეციალობის ძირითადი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. ისინი თანმიმდევრულია და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული შედეგების მიღწევას.

პროგრამაში წარმოდგენილია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, რომელიც ასახავს ინფორმაციას იმის შესახებ თუ რომელი კურსი უზრუნველყოფს კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევას. თითოეული სასწავლო კურსის შედეგი შესაბამისობაშია სასწავლო კურსის შედეგთან, რაც დასტურდება პროგრამის სილაბუსებში გაწერილი თემატიკით. სასწავლო კურსებით გათვალისწინებული ლიტერატურა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, მრავალფეროვანია და თანამედროვეა, თითოეულ კურსში გამოყენებულია რამდენიმე ლიტერატურა. ამასთანავე დაფიქსირდა, რომ სილაბუსებში მენეჯერული ფინანსები I, მენეჯერული ფინანსები II, ფინანსური ინსტიტუტები და ფინანსების საფუძვლებში გამოყენებული იყო ერთი და იგივე სახელმძღვანელო - ჯეიმს ს. ვან ჰორნი, ჯონ მ. ვახოვიჩი (2010), ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე", რომელიც ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო წიგნია. ადგილზე გაწეული რეკომენდაციების შესაბამისად, მოხდა სილაბუსიების კორექტირება, რის საშუალებასაც იძლეოდა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რადგან სილაბუსებში გამოყენებული იყო რამდენიმე სახელმძღვანელო და გვერდების გადაფარვა არ იყო მნიშვნელოვანი. პროგრამის სილაბუსებში გათვალსიწინებული ლიტერატურა ხელმისწავდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

სასწავლო კურსის თემატიკა დაძლევადია, საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები და სილაბუსი ლექტორის მიერ განსაზღვრული სწავლება-სწავლის რელავანტურია და იძლევა შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. საკონტატო სათების მოცულობა საგნების შესაბამისად არის დივერსიფიცირებული, მაგალითად 6 კრედიტის 150 საათიან პროგრამებში არის 62 საკონტაქტო საათი ( საგნები: მათემატიკა, ბიზნეს სტატისტიკა ფინასნური აღრიცხვა და მენეჯერული ფინანსები). პროგრამაში არის 5 კრედიტიანი საგნები 47 საკონტაქტო საათით და 4

| |
|---|
| კრედიტიანი ასევე 47 საკონტაქტო საათით. რაც ადასტურებს საგნების და მისაღეევი შედგებისადმი დივერსიფიცრებულ სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომებს. სწავლება-სწავლის პროცესი მიმდინარებს თანმიმდევრულად ლექტორები იყენებენ შესაბამის მეთოდებს. პროგრამის სასწავლო კურსების შედეგები ფასდება თითოეულ სასწავლო კურსში, რომლიც დეტალურად გაწერილია სილაბუსებში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>o ფინანსების საბაკალავრო პროგრამა;<br>o პროგრამის სილაბუსები;<br>o თვითშეფასების ანგარიში;<br>o ბაზრის კვლევა;<br>o დაინტერესებული პირთა გამოკითხვის შედეგები (პროგრამის განვითარების ანგარიში);<br>o შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;<br>o ანგარიში პროგრამაში განხორცილებული ცვლილებებისა და აკრედიტაციის საბჭოს და ექპერტების რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ;<br>o ვიზიტის დროს რესურსების დათვალიერებით მიღებული მტკიცებულებები;<br>o ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან. |
| რეკომენდაციები:<br><br>o სილაბუსებში მკაფიოდ გაიმიჯნოს სავალდებულო ლიტერატურა |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>პროგრამის შემდგომი განვითრებისთვის გარგი იქნება სავალდებულო საგნებში დამატებული იქნას<br>1. მმართველობითი აღრიცხვა<br>2. სტრატეგიული მენეჯმენტის, ორგანიზაციული ქცევის ან რომელიმე მსგავსი დისციპლინის საგანი |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>o |

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ფინანსების საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარების განვითარებას. პროგრამაში დაბალანსებულადაა წარმოდგენელი თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები. პროგრამაში ჯამში გათვალისწინებულია 2445 საკონტაქტო საათი მათგან 1184 საათი ეთმობა პრაქტიკულ მეცადინეობებს, რაც აძლევს საშულებას სტუდენტს მნიშვნელოვნად განივითაროს პრაქტიკული უნარები და შესაბამისად გახდეს კონკურენტუნარიანი დასაქმების ბზარზე.

პროგრამა სავალდებულო სახით ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტს 10 კრედიტის ოდენობით სტუდენტთა პრაქტიკის უზრუნველყოფისთვის უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს 100-ზე მეტი მემორანდუმი, რომელთა შორისაა დარგის წამყვანი კომპანიებიც. სტუდენტის პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებისთვის პროგრამით გათვალისწინებულია საბაკალავრო ნაშრომის მომზადება და დაცვა. უნივერსიტეტში ეფექტიანად ფუნქციონირებს კარიერის დაგეგმვის სამსახური, სტუდენტური კლუბების სამსახური. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ უნივერსიტეტის კონკურენტული უპირატესობაა აკადემიურ ცხოვრებასთან ერთად აქტიური სოციალური ცხოვრებაა. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კლუბებისა და საზოგადოებების ოფისი. უნივერსიტეტში 30-ზე მეტი განსხვავებული ტიპის კლუბი არსებობს. კლუბების უმრავლესობა საგანმანათლებლო ხასიათისაა. მსგავსი ტიპის კლუბები, როგორიცაა მაგალითად „მომავალ ლიდერთა კლუბი", „ბიზნეს კლუბი", „ახალგაზრდა იურისტთა კლუბი", ახალგაზრდა მეწარმეთა და ინოვატორთა კლუბი „მედია კლუბი" და ა.შ, ეხმარება

სტუდენტებს პროფესიულად განვითარდნენ და ამასთან ეხმარება შეიძინონ აუცილებელი ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც მომავალში კარიერულ წინსვლაში დაეხმარებათ. ამასთან შზსუ-ში არსებობს ისეთი ტიპის კლუბებიც, რომელთა მიზანია გართობა და კარგი ურთიერთობის დამყარება სტუდენტებსა და ლექტორებს შორის. მსგავსი ტიპის კლუბებია: „ყავა პროფესორთან“, „კულინარიის კლუბი“, „წარმატებულთა კლუბი“, „კინო კლუბი“, „თეატრისა და დრამის კლუბი“ და სხვა. კლუბები ორგანიზებული სტრუქტურით გამოირჩევიან. ყველა კლუბს ჰყავს პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი, მრჩეველი ადმინისტრაციიდან, მინიმუმ 15 წევრი და რაც მთავრია სპეციალური გეგმა, მიზანი და სტუდენტების სოციალური ცხოვრება ძალიან აქტიურადაა განვითარებული და უნივერსიტეტში კვირაში მინიმუმ 4-5 ღონისძიება ტარდება. ზოგიერთი ღონისძიება საჯარო ლექციის ფორმატში მიმდინარეობს, სადაც კლუბები იწვევენ ცნობილ და წარმატებულ ადამიანებს, რომლებიც სტუდენტებს თავიანთ გამოცდილებას უზიარებენ. ასევე ღონისძიებები არაოფიციალური სახის, გასართობ ან ტრეინინგის ფორმატში ტარდება. შზსუ-ს სტუდენტების უმრავლესობა მინიმუმ ერთ კლუბში მაინც არის გაწევრიანებული. კლუბებისა და საზოგადოებების ოფისი მუდმივად მუშაობს სტუდენტების ჩართულობისთვის მსგავსი ტიპის აქტივობებში და აკადემიურ მხარესთან ერთდ სოციალური ცხოვრებაც გაამრავალფეროვნონ.

IBSU-ში სტუდენტებისთვის ტარდება სხვადასხვა ტრენინგ-სემინარი, სადაც ისინი სწავლობენ, CV-ს დაწერას, სამოტივაციო წერილის მომზადებას, როგორ აწარმოონ ინტერვიუ-მოლაპარაკებები დამსაქმებლებთან, ასევე სტუდენტები იძენენ დასაქმებისთვის აუცილებელ სხვა უნარებსაც. დამამთავრებელი კურსის სტუდენტებისთვის უნივერსიტეტში შემუშავებულია საღამოს სწავლების სალექციო განრიგი, რაც იმას ნიშნავს, რომ სტუდენტებს სწავლის პარალელურად, ეძლევათ მუშაობის შესაძლებლობა.

რაც საბოლოო ჯამში აკადემიურ და პრაქტიკულ ცოდნასთან ერთად ახდენს ტრანსფერული უნარების განვითარებას და ბაზარზე ხარისხიან სპეციალისტად ჩამოყალიბებაში ხელშეწყობას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ფინანსების საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამის სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ბაზრის კვლევა;
- დაინტერსებული პირთა გამოკითხვის შედეგები (პროგრამის განვითარების ანგარიში);
- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- ვიზიტის დროს რესურსების დათვალიერებით მიღებული მტკიცებულებები;

- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

უნივერსიტეტის ძლიერ მხარეს წარმოადგენს სტუდენტებისთვის კარგად ორგანიზებული აქტიური სოციალური ცხოვრება. უნივერსიტეტში ფუნქციონიერბს კლუბებისა და საზოგადოებების ოფისი. ის კარიერის დაგეგმვის სამსახურთან მუშაობს ყველა სტუდენტის ჩართულობაზე კლუბებში, საზოგადეობებსა და ტრენინგებში, ახდენს მათ მუდმივ განვითარებაზე ზრუნვას და მათ მოტივრებას, რის საფძველზეც სტუდენტს უყალიბებს ტრანსფერულ უნარებს და უნვერსიტეტის ბრენდის მიმართ ლოიალურ დამოკიდებულებას.

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

